საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

NCDC 9 23 00507857 15/05/2023

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) ''გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფსების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 4 მუხლის შესაბამისად განიხილა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2023 წლის 12 აპრილს № 396728 წერილით გადმოგზავნილი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი (#76-762310144, 11.04.2023), სკრინინგის ანგარიში და ტერიტორიის განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევის დუკუმენტები.

აღნიშნულ დოკუმენტებში სრულად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია წყალმომარაგებისა (მ.შ. სასმელი წყლის) და საკანალიზაციო სისტემების გადაწყვეტის შესახებ, ასევე, არ ასახავს ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების შესაძლო რიკს-ფაქტორების შესახებ მონაცემებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მათთან დაკავშირებულ საფრთხეების მინიმიზაციის გადაწყვეტის გზებს, რომელთა გარეშეც ცენტრი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა განაშენიანების ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობის და სანიტარული ზონების დადგენის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მიზნით.

პატივისცემით,

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ გაბუნია